# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

# დადგენილება №5

## 2020 წლის 29 მაისი

## ქ. ბათუმი

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 1 მაისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 1 მაისის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/05/2012, 040030000.32.057.016087) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მომსახურება გაუწიოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი ანაზღაურებით, ხოლო სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ თვითმმართველობის ორგანოებს – უსასყიდლოდ, გარდა დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა. ამასთან, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონკრეტული მოცულობის მომსახურებას ლაბორატორია ახორციელებს უსასყიდლოდ;“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**მთავრობის თავმჯდომარე** **თორნიკე რიჟვაძე**